აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 40

01/10/2024 ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2024 წლის 26 სექტემბრის №25 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება“ და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 აგვისტოს №3 განკარგულების და საარჩევნო სუბიექტის თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 29 სექტემბრის №155/01/2024 (უსკოში რეგისტრაციის №01-26/114) განცხადების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნებადემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 26 სექტემბრის №25 განკარგულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება“ პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციში გატარდეს საარჩევნო სუბიექტის **„ქართული ოცნება“** პარტიული სია.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე